




# INNOX

We Do Finance

შპს "უნივერსამი"  
ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შპს “უნივერსამი”  
ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

*2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

## სარჩევი

|                                                                       |    |
|-----------------------------------------------------------------------|----|
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა                                       | 3  |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება                                    | 6  |
| მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება                  | 7  |
| კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება                                       | 8  |
| ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება                                | 9  |
| 1 ბირთვადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია                            | 10 |
| 2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა | 10 |
| 3 ბირთვადი საშუალებები                                                | 18 |
| 4 აქტივების გამოყენების უფლება                                        | 18 |
| 5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                          | 19 |
| 6 ფული და ფულის ექვივალენტები                                         | 19 |
| 7 მარაგები                                                            | 20 |
| 8 იჯარა                                                               | 20 |
| 9 მიღებული სესხები                                                    | 21 |
| 10 შემოსავალი                                                         | 22 |
| 11 ადმინისტრაციული ხარჯები                                            | 22 |
| 12 ფინანსური ინსტრუმენტები                                            | 23 |
| 13 ფინანსური რისკების მართვა                                          | 23 |
| 14 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებული მხარეები                       | 25 |
| 15 მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ                            | 26 |
| მმართველობის ანგარიშგება                                              | 27 |

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „უნივერსამი“-ს ხელმძღვანელობას

### პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „უნივერსამი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის “პირობითი მოსაზრების საფუძველი” ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

### პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავაკვირდით 2022 წლის ბოლოს კომპანიის მიერ ჩატარებულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ დავადასტურეთ 2022 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების რაოდენობის სისწორე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 5,791,045 ლარის ღირებულებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებსა და ფული და ფულის ეკვივალენტებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხედრაშია 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

### **ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს) პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტი აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ კომპანიას არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესს.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.

- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

18 დეკემბერი, 2023

შპს „ინოქსი“ ს/ნ: 404539674; SARAS-F-481994

---

ირაკლი ჭილაძე, SARAS-A-509177

გარიგების პარტნიორი

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „უნივერსამი“-ს ხელმძღვანელობას

### პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „უნივერსამი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

### პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავაკვირდით 2022 წლის ბოლოს კომპანიის მიერ ჩატარებულ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობების ინვენტარიზაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ დავადასტურეთ 2022 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების რაოდენობის სისწორე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 5,791,045 ლარის ღირებულებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებსა და ფული და ფულის ეკვივალენტებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედრაშია 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

## **ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს) პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტი აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ კომპანიას არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესს.

## **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:


- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.

- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგვემოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

18 დეკემბერი, 2023

შპს „ინოქსი“ ს/ნ: 404539674-SARAS-F-481994

ი.   


ირაკლი ჭილაძე, SARAS-A-509177

გარიგების პარტნიორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

|                                            |                   |                   |
|--------------------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>მიმდინარე აქტივები:</b>                 | <b>31.12.2022</b> | <b>31.12.2021</b> |
| ფული და ფულის ექვივალენტები                | 1,047,954         | 664,250           |
| სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები          | 5,791,045         | 4,841,601         |
| გაცემული სესხი                             | 1,380,000         | 1,200,000         |
| წმინდა საგადასახადო პოზიცია                | 7,248,624         | 7,265,000         |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები    | 7,176,872         | 6,672,874         |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>              | <b>22,644,495</b> | <b>20,643,725</b> |
| <br>                                       |                   |                   |
| ძირითადი საშუალებები                       | 2,204,799         | 2,243,914         |
| აქტივების გამოყენების უფლება(დირებულება)   | 5,306,766         | 6,218,904         |
| არამატერიალური აქტივები (დირებულება)       | 80,629            | 90,767            |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>           | <b>7,592,194</b>  | <b>8,553,585</b>  |
| <b>სულ აქტივები</b>                        | <b>30,236,689</b> | <b>29,197,310</b> |
| <br>                                       |                   |                   |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>          |                   |                   |
| ფინანსური იჯარის ვალდებულება               | 2,839,827         | 6,859,236         |
| მიღებული სესხი                             | 1,176,371         | 1,943,877         |
| <br>                                       |                   |                   |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები:</b>            |                   |                   |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 19,134,306        | 14,459,020        |
| მიღებული სესხი                             | 424,525           | 424,525           |
| ფინანსური იჯარის ვალდებულება               | 1,045,090         | 1,045,090         |
| წმინდა საგადასახადო პოზიცია                | -                 | -                 |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>         | <b>20,603,921</b> | <b>15,928,635</b> |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                   | <b>24,620,119</b> | <b>24,731,748</b> |
| <br>                                       |                   |                   |
| <b>აქციონერთა კაპიტალი:</b>                |                   |                   |
| გადაუნაწილებელი მოგება / ზარალი            | 5,616,570         | 4,465,562         |
| <b>სულ აქციონერთა კაპიტალი</b>             | <b>5,616,570</b>  | <b>4,465,562</b>  |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>       | <b>30,236,689</b> | <b>29,197,310</b> |

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 6-28 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით  
 დამტკიცებულია გამოსაშვებად 2023 წლის 18 დეკემბერს

თემურ ქომეთიანი  
 დირექტორი

ფინანსური დირექტორი  
 ზაზა სარჯველაძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

|                                            |                   |                   |
|--------------------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>მიმდინარე აქტივები:</b>                 | <b>31.12.2022</b> | <b>31.12.2021</b> |
| ფული და ფულის ექვივალენტები                | 1,047,954         | 664,250           |
| სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები          | 5,791,045         | 4,841,601         |
| გაცემული სესხი                             | 1,380,000         | 1,200,000         |
| წმინდა საგადასახადო პოზიცია                | 7,248,624         | 7,265,000         |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები    | 7,176,872         | 6,672,874         |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>              | <b>22,644,495</b> | <b>20,643,725</b> |
| <br>                                       |                   |                   |
| ძირითადი საშუალებები                       | 2,204,799         | 2,243,914         |
| აქტივების გამოყენების უფლება(ღირებულება)   | 5,306,766         | 6,218,904         |
| არამატერიალური აქტივები (ღირებულება)       | 80,629            | 90,767            |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>           | <b>7,592,194</b>  | <b>8,553,585</b>  |
| <b>სულ აქტივები</b>                        | <b>30,236,689</b> | <b>29,197,310</b> |
| <br>                                       |                   |                   |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>          |                   |                   |
| ფინანსური იჯარის ვალდებულება               | 2,839,827         | 6,859,236         |
| მიღებული სესხი                             | 1,176,371         | 1,943,877         |
| <br>                                       |                   |                   |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები:</b>            |                   |                   |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 19,134,306        | 14,459,020        |
| მიღებული სესხი                             | 424,525           | 424,525           |
| ფინანსური იჯარის ვალდებულება               | 1,045,090         | 1,045,090         |
| წმინდა საგადასახადო პოზიცია                | -                 | -                 |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>         | <b>20,603,921</b> | <b>15,928,635</b> |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                   | <b>24,620,119</b> | <b>24,731,748</b> |
| <br>                                       |                   |                   |
| <b>აქციონერთა კაპიტალი:</b>                |                   |                   |
| გადაუნაწილებელი მოგება / ზარალი            | 5,616,570         | 4,465,562         |
| <b>სულ აქციონერთა კაპიტალი</b>             | <b>5,616,570</b>  | <b>4,465,562</b>  |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>       | <b>30,236,689</b> | <b>29,197,310</b> |

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 6-28 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით  
 დამტკიცებულია გამოსაშვებად 2023 წლის 18 დეკემბერს

  
 თემურ ქიშეთიანი  
 დირექტორი

  
 ფინანსური დირექტორი  
 ზაზა სარჯველაძე

შპს „უნივერსამი“  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ქართულ ლარში)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

|                                         | 2022             | 2021              |
|-----------------------------------------|------------------|-------------------|
| ამონაგები                               | 62,515,206       | 48,531,483        |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება   | (55,069,553)     | (37,811,071)      |
| <b>საერთო მოგება</b>                    | <b>7,445,653</b> | <b>10,720,412</b> |
| საოპერაციო ხარჯები:                     | (1,922,155)      | (2,582,700)       |
| თანამშრომელთა ანაზღაურება               | (4,647,025)      | (2,983,555)       |
| საპროცენტო ხარჯი                        | (96,022)         | (146,703)         |
| საპროცენტო შემოსავალი                   | 180,000          | -                 |
| კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი    | 747,774          | 1,534,629         |
| საპროცენტო ხარჯი ფინანსურ იჯარაზე       | (551,570)        | (658,631)         |
| არასაოპერაციო ხარჯი/შემოსავალი          | 4,263,886        | 2,328,030         |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები       | (2,922,338)      | (2,656,470)       |
| <b>მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე</b>    | <b>4,420,358</b> | <b>8,137,712</b>  |
| მოგების გადასახადის სარგებელი / (ხარჯი) | -                | -                 |
| <b>წმინდა მოგება / (ზარალი)</b>         | <b>4,420,358</b> | <b>8,137,712</b>  |

შპს „უნივერსამი“  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ქართულ ლარში)

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

|                                     | საწესდებო<br>კაპიტალი | დაგროვილი<br>ზარალი | სულ კაპიტალი       |
|-------------------------------------|-----------------------|---------------------|--------------------|
| <b>ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს</b> | -                     | <b>(2,254,837)</b>  | <b>(2,254,837)</b> |
| წლის მთლიანი სრული შემოსავალი       | -                     | 8,137,712           | 8,137,712          |
| გაცემული დივიდენდი                  | -                     | (1,417,313)         | (1,417,313)        |
| <b>ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს</b> | -                     | <b>4,465,562</b>    | <b>4,465,562</b>   |
| წლის მთლიანი სრული შემოსავალი       | -                     | 4,420,358           | 4,420,358          |
| გაცემული დივიდენდი                  | -                     | (3,269,350)         | (3,269,350)        |
| <b>ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს</b> | -                     | <b>5,616,570</b>    | <b>5,616,570</b>   |

შპს „უნივერსამი“  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

|                                                                        | შენიშვნა | 2022        | 2021        |
|------------------------------------------------------------------------|----------|-------------|-------------|
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე |          | 4,420,358   | 8,137,712   |
| კორექტირებები:                                                         |          |             |             |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                   | 3.4      | 977,840     | 1,580,457   |
| კურსთაშორის სხვაობის ცვლილების შედეგი                                  |          | 747,774     | (1,534,629) |
| საპროცენტო ხარჯი ფინანსურ იჯარაზე                                      |          | 551,570     | 658,631     |
| საპროცენტო ხარჯი მიღებულ სესხზე                                        |          | 96,022      | 146,703     |
| საპროცენტო შემოსავალი                                                  |          | (180,000)   | -           |
| საექვო მოთხოვნების ანარიცხის ხარჯი                                     |          | 86,928      | (68,891)    |
| ცვლილება მარაგებში                                                     |          | (949,444)   | 67,562      |
| ცვლილება სავაჭრო და სხვა მოკლევადიან მოთხოვნებში                       | 7        | (590,926)   | 385,731     |
| ცვლილება სავაჭრო და სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში                    |          | 4,675,286   | 1,019,235   |
| ცვლილება სხვა მიმდინარე აქტივებში / ვალდებულებებში                     |          | (163,624)   | (8,122,939) |
| წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან                        |          | 8,850,467   | 2,269,572   |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                                           |          | (703,939)   | (591,927)   |
| არამატერიალური აქტივების შეძენა                                        |          | -           | -           |
| წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან                      |          | (703,939)   | (591,927)   |
| გადახდილი დივიდენდები                                                  |          | (3,269,350) | (1,417,313) |
| სესხის პროცენტის გადახდა                                               |          | (96,022)    | (140,574)   |
| იჯარის პროცენტის გადახდა                                               |          | (551,570)   | (658,631)   |
| სესხის ცვლილება                                                        |          | 653,153     | (807,207)   |
| ფინანსური იჯარის ცვლილება                                              |          | (4,199,034) | 1,789,929   |
| წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან                         |          | (7,462,823) | (1,233,796) |
| ნაშთი წლის დასაწყისში                                                  |          | 664,250     | 220,401     |
| წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში                                  |          | 383,704     | 443,849     |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს                                 |          | 1,047,954   | 664,250     |

## 1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „უნივერსამი“ (შემდგომში „კომპანია“) არის 2016 წლის 29 დეკემბერს საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ზესტაფონის ქ., N 3, ბინა 1.

კომპანია წარმოადგენს სავაჭრო ობიექტს (მაღაზიას) და თბილისის მასშტაბით ოპერირებს ორი ფილიალით: 1) თბილისი გლდანი-ნაძალადევი ახმეტელის მეტროს მ/ტ - გაიხსნა 2017 წლის იანვარში; 2) თბილისი ისანი-სამგორი მეტრო ვარკეთილი - გაიხსნა 2018 წლის ივლისში.

კომპანია ფლობს ერთ მაღაზიას ქ. რუსთავეში, რომელიც გაიხსნა 2021 წელს.

კომპანიის წილი დაფუძნებისას გასაზღვრულია შემდეგნაირად:

|                 |     |
|-----------------|-----|
| იოსებ ღუდუშაური | 50% |
| შპს მემო        | 50% |

კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2022 წელს იყო 337 (2021: 310)

## 2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-2 შენიშვნაში.

### სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან“.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

|                                           | აშშ დოლარი | ევრო |
|-------------------------------------------|------------|------|
| გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.7        | 2.9  |
| გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის | 3.1        | 3.5  |

#### ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში და უცხოურ ვალუტაში.

#### ფინანსური აქტივები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა.

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად. იმისათვის, რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნაჩვენებ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულია იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

#### შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (სასესხო ინსტრუმენტები)

- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირითად თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს. სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

#### ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების კომპანიის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

#### ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზარდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი

აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა).

სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

#### ფინანსური ვალდებულებები

##### თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში. ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს.

##### შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

##### სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

##### აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთგაქვითვა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის მაჩვენებლები არის შემდეგი:

|                                     | წელი |
|-------------------------------------|------|
| ავეჯი და სხვა ინვენტარი             | 6    |
| სატრანსპორტო საშუალებები            | 5    |
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | 7-8  |

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი, (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ყოველწლიურად. საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

იჯარა

განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, იჯარის დასაწყისში ხდება, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებადი აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

კომპანია, როგორც მოიჯარე იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანია აღიარებს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას.

აქტივის გამოყენების უფლება

კომპანია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების შეფასების თანხით. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- ა) საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას;
- ბ) საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- გ) მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს.

კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად მანქანა-დანადგარებს 10 წელზე ხოლო სატრანსპორტო საშუალებას 5 წელზე.

### საიჯარო ვალდებულება

კომპანია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო განაკვეთს. საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის არსებულ ფიქსირებულ გადახდებს) მიღებული საიჯარო წამახალისებელი გადახდების გამოკლებით; ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით; თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ კომპანია გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ კომპანია გამოიყენებს ამ უფლებას და იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს კომპანიას მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას. იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია საიჯარო ვალდებულებას ზრდის საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით და ამცირებს განხორციელებული საიჯარო გადახდებით. ამასთანავე, კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, თუ ადგილი აქვს საიჯარო ხელშეკრულების პირობების ცვლილებებს.

### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება ყოველი ფისკალური პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 10 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადის მინიჭებით, კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება. კომპანიის არამატერიალური აქტივი არის ორისის საბუღალტრო პროგრამა.

### სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა FIFO მეთოდს და მოიცავს შემენის ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს.

### მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

#### კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარებაც ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

#### შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა; კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი; ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანიის სხვა ფინანსურ შემოსავალს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან. კომპანია შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

#### სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება იმ ვარაუდების გამოყენებით, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას, იმ ვარაუდით, რომ ბაზრის მონაწილეები იმოქმედებენ საუკეთესო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე. კომპანია იყენებს შეფასების მეთოდებს, რომელიც შესაფერისია აღნიშნულ გარემოებებში და რომელთან დაკავშირებითაც არსებობს სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის საჭირო მონაცემები. ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

დონე 1 - იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;

დონე 2 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის პირდაპირი და არაპირდაპირი განსაზღვრა;

დონე 3 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის განსაზღვრა.

## ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

შემოსულობები სავარაუდო მოხმარებამდე, წამგებიანი ხელშეკრულებები- ხელშეკრულების შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე- ბასს 16, ბასს 37 და ფასს 3 -ის ვიწრო მოქმედების სფეროს შესწორებები და ფასს 2018-2020 წლის წლიური გაუმჯობესებებიდან 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 -ის შესწორებები.

- ბასს 16-ის შესწორება საწარმოს უკრძალავს ძირითადი საშუალებების მუხლის ხარჯიდან, საწარმოს მიერ აქტივის სავარაუდო მოხმარებისთვის მომზადებისას წარმოებული მუხლის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის გამოქვითვას. მსგავსი მუხლების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, ახლა აღიარდება მოგება-ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმების პროცესში მყოფი აქტივის ცვეთას, იმიტომ, რომ ის ჯერ მზად არ არის მისი სავარაუდო მოხმარებისთვის. ბასს 16-ის შესწორება ასევე განმარტავს, რომ საწარმო ახორციელებს იმის შემოწმებას „ფუნქციონირებს თუ არა აქტივი სათანადოდ“ მაშინ, როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ თუ ფიზიკურ წარმადობას. აქტივის ფინანსური წარმადობა ამ შეფასების რელევანტური არ არის. ამგვარად, აქტივს შეუძლია ხელმძღვანელობის განზრახვის შესაბამისად ფუნქციონირება და ექვემდებარება ცვეთას, სანამ არ მიაღწევს ხელმძღვანელობის მიერ განზრახულ საოპერაციო წარმადობას.
- ბასს 37-ის შესწორებები განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ხარჯების“ მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯები შედგება ამ ხელშეკრულების შესრულების დანახარჯებისაგან და იმ ხარჯების განაწილებისგან, რომელიც პირდაპირ კავშირშია შესრულებასთან. შესწორება ასევე განმარტავს, რომ სანამ წამგებიანი ხელშეკრულების ცალკე ანარიცხი შეიქმნება, საწარმო აღიარებს ხელშეკრულების შესრულებისთვის გამოყენებული იმ აქტივების ნებისმიერი გაუფასურების ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა, მეტად, ვიდრე იმ აქტივების, რომლებიც ხელშეკრულებისთვის არის განკუთვნილი.
- ფასს 9-ს შესწორება განმარტავს, თუ რომელი საზღაური უნდა იყოს შეყვანილი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის 10%-იან ტესტში. ღირებულებები და საზღაური შესაძლებელია გადახდილი იყოს ან მესამე მხარეებისთვის, ან გამსესხებლისთვის. შესწორების მიხედვით, ის ღირებულება და საზღაური, რომელიც გადახდილია მესამე მხარეებისთვის არ შევა 10%-იან ტესტში. • ილუსტრაციული მაგალითი 13, რომელიც მოყვება ფასს 16-ს, შესწორდა, რათა მეიჯარის მიერ გადახდების ილუსტრაცია, რომელიც უკავშირდება საიჯარო გაუმჯობესებებს, იყოს ამოღებული. • შესწორების მიზეზი საიჯარო წამახალისებლებთან დაკავშირებული ნებისმიერი პოტენციური გაუგებრობის აღმოფხვრაა.

• ფასს 1 იძლევა საშუალებით უფლებას შვილობილმა საწარმომ ფასს-ები მიიღოს უფრო გვიანი თარიღით, ვიდრე მშობელმა საწარმომ. შვილობილ საწარმოს შეუძლია მისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებით შეფასება, რაც შესული იქნებოდა მისი მშობელი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ კონსოლიდაციის პროცედურებისთვის და საწარმოთა გაერთიანების იმ შედეგებისთვის, რომელშიც მშობელმა შეიძინა შვილობილი საწარმო, არ შესულა შესწორებები. • ფასს 1-ში შევიდა შესწორებები, რათა მიეცეს ფასს 1-ის შეღავათით მოსარგებლე საწარმოებს იმის უფლება, რომ დაგროვილი საკურსო სხვაობებიც შეაფასოს მშობელი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხების გამოყენებით, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის შესწორებები აფართოებს ზემოთ აღნიშნულ შეღავათს დაგროვილ საკურსო სხვაობებზე პირველად სტანდარტების მიმღები

შპს „უნივერსამი“  
ფინანსური ანგარიშგება  
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

საწარმოებისთვის ხარჯების შესამცირებლად. ეს შესწორება ასევე ეხება იმ მეკავშირე და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულს საწარმოებს, რომლებმაც ისარგებლეს იმავე ფასს 1-ის შეღავათით. • მოთხოვნა, რომ საწარმოებმა ბასს 41-ის მიხედვით რეალური ღირებულების შეფასებისას ამოიღონ დაბეგვრისთვის განსაზღვრული ფულადი ნაკადები, გაუქმებულია. ეს შესწორება მიზნად ისახავს დაბეგვრის შემდგომ საფუძველზე ფულადი ნაკადების დისკონტირების სტანდარტში არსებულ მოთხოვნასთან შესაბამისობაში ყოფნას. აღნიშნულ სტანდარტს, არ აქვს გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

### 3 ძირითადი საშუალებები

| თვითღირებულება               | ოფისის<br>აღჭურვილობა | სატრანსპორტო<br>საშუალებები | იჯარით აღებული<br>ქონების<br>კეთილმოწყობა | სულ       |
|------------------------------|-----------------------|-----------------------------|-------------------------------------------|-----------|
| ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს | 2,871,415             | 17,786                      | 32,073                                    | 2,921,274 |
| შეძენა                       | 556,724               | 8,866                       | 26,337                                    | 591,927   |
| ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს | 3,428,139             | 26,652                      | 58,410                                    | 3,513,201 |
| შეძენა                       | 387,211               | 286,876                     | 29,853                                    | 703,940   |
| ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს | 3,815,350             | 313,528                     | 88,263                                    | 4,217,141 |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>       |                       |                             |                                           |           |
| ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს | 587,979               | 4,925                       | 8,064                                     | 600,968   |
| წლიური ცვეთა                 | 661,739               | 3,199                       | 3,381                                     | 668,319   |
| ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს | 1,249,718             | 8,124                       | 11,445                                    | 1,269,287 |
| წლიური ცვეთა                 | 697,212               | 35,380                      | 10,463                                    | 743,055   |
| ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს | 1,946,930             | 43,504                      | 21,908                                    | 2,012,342 |
| <b>ნარჩენი ღირებულება</b>    |                       |                             |                                           |           |
| 2021 წლის 31 დეკემბერი       | 2,178,421             | 18,528                      | 46,965                                    | 2,243,914 |
| 2022 წლის 31 დეკემბერი       | 1,868,420             | 270,024                     | 66,355                                    | 2,204,799 |

### 4 აქტივების გამოყენების უფლება

| თვითღირებულება | გლდანის   | ვარკეთილი | რუსთავი   |
|----------------|-----------|-----------|-----------|
| 31.12.2020     | 5,657,661 | 1,176,019 | -         |
| შემოსვლა       | -         | -         | 2,695,768 |
| 31.12.2021     | 5,657,661 | 1,176,019 | 2,695,768 |
| 31.12.2022     | 5,657,661 | 1,176,019 | 2,695,768 |

|                        |           |         |         |
|------------------------|-----------|---------|---------|
| <b>დაგროვილი ცვეთა</b> |           |         |         |
| 31.12.2020             | 2,255,903 | 142,503 | -       |
| ცვეთის ხარჯი           | 568,257   | 119,234 | 224,647 |
| 31.12.2021             | 2,824,160 | 261,737 | 224,647 |
| ცვეთის ხარჯი           | 568,257   | 119,234 | 224,647 |

შპს „უნივერსამი“  
ფინანსური ანგარიშგება  
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

|                                        |           |         |           |
|----------------------------------------|-----------|---------|-----------|
| 31.12.2022                             | 3,392,417 | 380,971 | 449,294   |
| <i>წმინდა საბალანსო<br/>ღირებულება</i> |           |         |           |
| 31.12.2021                             | 2,833,501 | 914,282 | 2,246,474 |
| 31.12.2022                             | 2,265,244 | 795,048 | 2,246,474 |

კომპანიას აქტივების გამოყენების უფლება შეძენილი აქვს სავაჭრო მარკების ფართეზე, რომლებიც განლაგებულია თბილისში (გლდანის რაიონი) და რუსთავეში.

აქტივების გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი აღიარებულია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში.

## 5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                             | 12/31/2022 | 12/31/2021 |
|---------------------------------------------|------------|------------|
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები     | 7,413,029  | 6,822,103  |
| საექვო მოთხოვნების ანარიცხი                 | (236,157)  | (149,229)  |
| სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები | 7,176,872  | 6,672,874  |

საექვო მოთხოვნების ანარიცხების მოძრაობა წარმოდგენილია ქვემოთ:

|                                  |                |
|----------------------------------|----------------|
| <b>ბალანსი 31 დეკემბერი 2020</b> | <b>218,120</b> |
| ხარჯი წლის განმავლობაში          | -              |
| რეზერვის აღდგენა                 | (68,891)       |
| <b>ბალანსი 31 დეკემბერი 2021</b> | <b>149,229</b> |
| ხარჯი წლის განმავლობაში          | 86,928         |
| რეზერვის აღდგენა                 | -              |
| <b>ბალანსი 31 დეკემბერი 2021</b> | <b>236,157</b> |

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება ახლოსაა მის სამართლიან ღირებულებასთან.

მენეჯმენტს დარწმუნებულია, რომ ყველა მოთხოვნა სრულად დაბრუნებადია.

შესადარისი პერიოდების ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნა გადაიხდა გაუფასურებასთან მიმართებაში.

## 6 ფული და ფულის ეკვივალენტები

|                                 | 12/31/2022 | 12/31/2021 |
|---------------------------------|------------|------------|
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში     | 391,343    | 418,712    |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 656,611    | 142,681    |
| ფული გზაში                      | -          | 102,857    |
| სულ ფული და ფულის ეკვივალენტები | 1,047,954  | 664,250    |

## 7 მარაგები

|                                       | 12/31/2022 | 12/31/2021 |
|---------------------------------------|------------|------------|
| გლდანის ფილიალი                       | 3,387,488  | 3,130,326  |
| რუსთავის ფილიალი                      | 1,127,872  | 848,007    |
| ვარკეთილის ფილიალი                    | 1,275,685  | 863,268    |
| სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები | 5,791,045  | 4,841,601  |

## 8 იჯარა

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომავალი საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                             |           |           |           |
|-----------------------------|-----------|-----------|-----------|
| <i>ერთ წლამდე</i>           | გლდანი    | ვარკეთილი | რუსთავი   |
| საიჯარო გადასახდელები       | 934,251   | 24,000    | 324,240   |
| ფინანსური ხარჯი             | (247,795) | (11,600)  | (131,452) |
|                             | 686,456   | 12,400    | 192,788   |
| <i>ორიდან ხუთ წლამდე</i>    |           | -         |           |
| საიჯარო გადასახდელები       | 1,231,443 | 501,320   | 1,318,645 |
| ფინანსური ხარჯი             | (593,039) | (132,616) | (435,620) |
|                             | 638,403   | 368,704   | 883,025   |
| <i>ხუთი წლის შემდეგ</i>     |           | -         |           |
| საიჯარო გადასახდელები       | -         | -         | -         |
| ფინანსური ხარჯი             | -         | -         | -         |
|                             | -         | -         | -         |
| წმინდა მიმდინარე ღირებულება | 1,324,859 | 381,104   | 1,075,813 |

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომავალი საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                          |           |           |           |
|--------------------------|-----------|-----------|-----------|
| <i>ერთ წლამდე</i>        | გლდანი    | ვარკეთილი | რუსთავი   |
| საიჯარო გადასახდელები    | 1,070,517 | 190,954   | 371,712   |
| ფინანსური ხარჯი          | (349,556) | (73,419)  | (165,118) |
|                          | 720,961   | 117,535   | 206,594   |
| <i>ორიდან ხუთ წლამდე</i> |           | -         |           |
| საიჯარო გადასახდელები    | 4,279,502 | 788,236   | 1,486,846 |
| ფინანსური ხარჯი          | (679,537) | (232,347) | (505,850) |
|                          | 3,599,965 | 555,889   | 980,996   |
| <i>ხუთი წლის შემდეგ</i>  |           | -         |           |
| საიჯარო გადასახდელები    | -         | 407,823   | 1,548,800 |

შპს „უნივერსამი“  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ქართულ ლარში)

|                             |           |           |           |
|-----------------------------|-----------|-----------|-----------|
| ფინანსური ხარჯი             | -         | (31,787)  | (202,450) |
|                             | -         | 376,036   | 1,346,350 |
|                             |           | -         |           |
| წმინდა მიმდინარე ღირებულება | 4,320,926 | 1,049,460 | 2,533,940 |

კომპანიას იჯარით აღებული აქვს მაღაზიებისთვის განკუთვნილი ფართები. ყველა იჯარა, გარდა მოკლევადიანი ან დაბალი ღირებულების მქონე იჯარისა, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება. ცვალეზადი საიჯარო გადასახადელები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან პროცენტზე (როგორიცაა საიჯარო გადასახადელები, დამოკიდებული კომპანიის გაყიდვების პროცენტულ მაჩვენებელზე), არ მონაწილეობს სალიზინგო ვალდებულებების და შესაბამისი აქტივების საწყის აღიარებაში.

ყველა საიჯარო ხელშეკრულება შეიცავს შეზღუდვას იმის თაობაზე, რომ კომპანიას არ აქვს უფლება საიჯარო აქტივი გადასცეს მესამე მხარეს თუ მას არ აქვს კონტრაქტით განსაზღვრული უფლება. საიჯარო აქტივი შესაძლოა გამოყენებული იქნეს მხოლოდ მოიჯარის მიერ. იჯარები ან არაგაუქმებადია, ან გაუქმებადი, მხოლოდ შესაბამისი შეწყვეტის საფასურის გადახდის შემთხვევაში. არცერთი იჯარა არ მოიცავს იჯარის ბოლოს, იჯარით ფლობილი კონკრეტული აქტივის შესყიდვის უფლებას. მეიჯარესა და მოიჯარეს შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით, შესაძლებელია იჯარის ვადის გახანგრძლივება. კომპანიას ეკრძალება იჯარით აღებული აქტივის გაყიდვა ან მისი უზრუნველყოფის სახით გამოყენება. მოიჯარემ უნდა უზრუნველყოს ამ ქონების კარგ მდგომარეობაში შენარჩუნება და იჯარის ბოლოს დააბრუნოს იგი თავისი საწყისი მდგომარეობით.

*საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის აღიარებული ვალდებულებად*

კომპანიამ გადაწყვიტა არ აღიაროს საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი იჯარისთვის (12 თვინი ან ნაკლები საიჯარო ვადის მქონე იჯარებისთვის) და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივების იჯარებისთვის. ამგვარ საიჯარო გადახდები ხარჯებად აღიარდება წრფივი მეთოდით. ამასთანავე, ზოგიერთი ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ აღიარდება როგორც საიჯარო ვალდებულება, გაწევისთანავე აღიარდება ხარჯად.

ვალდებულებებში, შემდეგია:

კომპანიის შემოსავლების მიხედვით დაანგარიშებული ცვლადი საიჯარო გადასახადელები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება ხარჯებად და არა საიჯარო ვალდებულებებად. ცვლადი გადახდების პირობა გამოიყენება სხვადასხვა მიზეზით.

## 9 მიღებული სესხები

|                                        | 31.12.2022 | 31.12.2021 |
|----------------------------------------|------------|------------|
| ცვლადი პროცენტის მქონე საბანკო სესხები | 1,176,371  | 1,943,877  |
| სულ გრძელვადიანი სესხები               | 1,176,371  | 1,943,877  |
|                                        | 2022       | 2021       |
| ცვლადი პროცენტის მქონე საბანკო სესხები | 424,525    | 424,525    |
| სულ მოკლევადიანი სესხები               | 424,525    | 424,525    |

კომპანიას აღებული აქვს გრძელვადიანი სესხი თიბისი ბანკისგან, რომლის დაფარვის ვადაა 2026 წლის 13 იანვრამდე.

სესხი დომინირებულია EURO-ში.

2022 წლის 13 იანვრამდე სესხის საპროცენტო განაკვეთია 5%, ხოლო 2022 წლის 13 იანვრიდან 5%-ს დამატებული ცვლილების დღისათვის დაფიქსირებული "Euribor"-ის 6 თვიანი განაკვეთი.

სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრულია შემდეგი კოვენანტები:

ჯამურმა სასახო ვალდებულებებმა არ უნდა შეადგინოს საოპერაციო მოგების(EBITDA) 300%-ზე მეტი. სესხის მიმდინარეობისას შენარჩუნებულ იქნა იყოს სესხის მომსახურების კოეფიციენტი DSCR მინიმუმ 1.3 დონეზე. კოეფიციენტი შენარჩუნებულ უნდა იქნას მინიმუმ 3.0 დონეზე. აღნიშნული კოეფიციენტები დაკმაყოფილებულია.

## 10 შემოსავალი

კომპანია შემოსავალს იღებს სურსათის საცალო რეალიზაციით. თითოეული მაღაზიის მიხედვით შემოსავლები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                    | 2022              | 2021              |
|--------------------|-------------------|-------------------|
| გლდანის ფილიალი    | 34,223,717        | 33,088,458        |
| რუსთავი            | 12,738,678        | 6,155,234         |
| ვარკეთილის ფილიალი | 15,552,811        | 9,287,791         |
| <b>სულ</b>         | <b>62,515,206</b> | <b>48,531,483</b> |

## 11 ადმინისტრაციული ხარჯები

|                                | 2022             | 2021             |
|--------------------------------|------------------|------------------|
| იჯარის ხარჯი                   | 999,952          | 334,818          |
| კომუნალური გადასახადების ხარჯი | 654,055          | 503,652          |
| ცვეთა და ამორტიზაცია           | 753,192          | 1,580,457        |
| საექვო მოთხოვნების ხარჯი       | 86,928           | -                |
| სხვა ხარჯები                   | 428,211          | 237,543          |
| <b>ადმინისტრაციული ხარჯები</b> | <b>2,922,338</b> | <b>2,656,470</b> |

## 12 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით კატეგორიების მიხედვით:

|                                | 2022 წლის 31<br>დეკემბერი | 2021 წლის 31 დეკემბერი |
|--------------------------------|---------------------------|------------------------|
| <i>ფინანსური აქტივები</i>      |                           |                        |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები     | 7,176,872                 | 6,672,874              |
| გაცემული სესხი                 | 1,380,000                 | 1,200,000              |
| ნაღდი ფული და ფული ბანკში      | 1,047,954                 | 664,250                |
| სულ ფინანსური აქტივები         | 9,604,826                 | 8,537,124              |
| <i>ფინანსური ვალდებულებები</i> |                           |                        |
| მიღებული სესხი                 | 1,600,896                 | 2,368,402              |
| ფინანსური იჯარის ვალდებულება   | 2,781,776                 | 7,904,326              |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები  | 19,134,306                | 14,459,020             |
| სულ ფინანსური ვალდებულებები    | 23,516,978                | 24,731,748             |

## 13 ფინანსური რისკების მართვა

კომპანია ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ძირითადი რისკების ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისათვის და არც ოფციონებს გასცემს. კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

### a) საბაზრო რისკი

კომპანია არ არის დაცული საბაზრო რისკისაგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფასთან დაკავშირებული რისკისაგან, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

### უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი.

ქვედა ცხრილში მოცემულია კომპანიის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც წარმოშობს უცხოური ვალუტის რისკს. თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლო დღისთვის დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის რისკი ძირითადად უკავშირდება სავაჭრო ვალდებულებებსა და ფინანსური იჯარის

ვალდებულებებს, რაც ძირითადად აღრიცხულია აშშ დოლარში.

*b) საკრედიტო რისკი*

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანიის საკრედიტო რისკი დანაშვნიერებულია მის ფინანსურ აქტივებთან, მათ შორის საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებთან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან.

შორის საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი უმნიშვნელოა, რადგან ფული განთავსებულია მხოლოდ მსხვილ, საიმედო ბანკებში.

კომპანია შემოსავალს იღებს საცალო გაყიდვებიდან, სადაც ფულის მიღება ხდება პროდუქციის გაყიდვისთანავე. შესაბამისად, კომპანია არ ახორციელებს მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის მონიტორინგს.

კომპანიას არ აქვს რაიმე უზრუნველყოფები დებიტორულ მოთხოვნებზე. კომპანია არ ფლობს გირაოს ან უზრუნველყოფებს, არც სხვა ფინანსურ აქტივებზე (მაგ. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები ბანკებში).

*სავაჭრო მოთხოვნები*

მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისთვის, კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს, ვინაიდან ეს მუხლები არ შეიცავენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისთვის, სავაჭრო მოთხოვნები შეფასდა საერთო მიდგომით, ვინაიდან მათ აქვთ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. მათი დაჯგუფება ხდება ხანდაზმულობის მიხედვით.

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება, როცა აღარ არსებობს მათი დაბრუნების გონივრული მოლოდინი.

*c) ლიკვიდურობის რისკი*

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს გონივრულ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასეხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

შპს „უნივერსამი“  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ქართულ ლარში)

| 2022                          | საპროცენტო<br>განაკვეთის<br>არმქონე | ფინანსური<br>იჯარის<br>ვალდებულება | სესხი     | სულ        |
|-------------------------------|-------------------------------------|------------------------------------|-----------|------------|
| საშუალო შეწონილი ეფექტური (%) |                                     | 9%                                 | 5%        |            |
| 6 თვეზე ნაკლები               | 19,134,306                          | 445,822                            | 212,263   | 19,792,391 |
| 6 თვიდან 1 წლამდე             | -                                   | 445,822                            | 212,263   | 658,085    |
| 1-5 წლამდე                    | -                                   | 1,890,132                          | 1,176,371 | 3,066,503  |
| 5 წლის შემდგომ                | -                                   | -                                  | -         | -          |
|                               | 19,134,306                          | 2,781,776                          | 1,600,896 | 23,516,978 |

| 2021                          | საპროცენტო<br>განაკვეთის<br>არმქონე | ფინანსური<br>იჯარის<br>ვალდებულება | მიღებული<br>სესხი | სულ        |
|-------------------------------|-------------------------------------|------------------------------------|-------------------|------------|
| საშუალო შეწონილი ეფექტური (%) |                                     | 9%                                 | 5%                |            |
| 6 თვეზე ნაკლები               | 14,459,020                          | 522,545                            | 205,293           | 15,186,858 |
| 6 თვიდან 1 წლამდე             | -                                   | 522,545                            | 205,293           | 727,838    |
| 1-5 წლამდე                    | -                                   | 5,136,850                          | 1,957,816         | 7,094,666  |
| 5 წლის შემდგომ                | -                                   | 1,722,386                          | -                 | 1,722,386  |
|                               | 14,459,020                          | 7,904,326                          | 2,368,402         | 24,731,748 |

კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ ფულადი და დებიტორული დავალიანებების შესაფასებლად და სამართავად. კომპანიის ფულადი რესურსები და სავაჭრო მოთხოვნები აჭარბებს მიმდინარე ფულადი ნაკადების გადინებაზე მოთხოვნას.

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადექვატური უკუგებით.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება დაგროვილი ზარალისგან.

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის კორექტირებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს ძირითად აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის კორექტირების მიზნით კომპანიამ შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა ან გაყიდოს აქტივები საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად.

#### 14 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებული მხარეებთან

|             | 12/31/2022 | 12/31/2021  |
|-------------|------------|-------------|
| მოთხოვნა    | 202,669    | 1,147,562   |
| ვალდებულება | (610,179)  | (1,423,703) |

ხელმძღვანელი რგოლის ანაზღაურებამ 2022 წელს შეადგინა 292,143 ლარი, (2021 – 282,286 ლარი)

## **15 მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ**

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ გაიცა 2 მილიონი ლარის დივიდენდი.

სხვა მნიშვნელოვან მოვლენას, რომელიც გამჟღავნებას ან/და დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს გამოიწვევდა აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ადგილი არ ჰქონია.

## მმართველობის ანგარიშგება

შპს უნივერსამი

2022 წელი

### მოკლე ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „უნივერსამი“ (შემდგომში „კომპანია“) არის 2016 წლის 29 დეკემბერს საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ზესტაფონის ქ., N 3, ბინა 1.

კომპანიის წილი დაფუძნებისას გასაზღვრულია შემდეგნაირად:

|                 |     |
|-----------------|-----|
| იოსებ ღუდუშაური | 50% |
| შპს მემო        | 50% |

2022 წელს კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა იყო 337 (2021 – 310)

### კომპანიის ფილიალები

კომპანია წარმოადგენს სავაჭრო ობიექტს (მაღაზიას) და თბილისის და რუსთავის მასშტაბით ოპერირებს ოთხი ფილიალით:

1. თბილისი გლდანი-ნაძალადევი ახმეტელის მეტროს მ/ტ - გაიხსნა 2017 წლის იანვარში;
2. თბილისი ისანი-სამგორი მეტრო ვარკეთილი - გაიხსნა 2018 წლის ივლისში.
3. ქ.რუსთავი - გაიხსნა 2021 წელს.

### კაპიტალის სტრუქტურა

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის გაუნაწილებელმა მოგებამ შეადგინა 5,616,570 ლარი, ხოლო 2022 წლის წმინდა მოგებამ - 4,420,358 ლარი. 2021 წელს კომპანიის დამფუძნებლებზე გაიწა 3,269,350 ლარის ოდენობის დივიდენდი. სევე, ადგილი არ ჰქონია რაიმე ცვლილებას კომპანიის კაპიტალის სტრუქტურაში.

### კომპანიის განვითარება

კომპანიის პოპულარობას განსაზღვრავს მრავალფეროვანი არჩევანი და ხელმისაწვდომი ფასები. კომპანიას მუდმივად აქვს კომუნიკაცია მომხმარებლებთან სხვადასხვა არხის გამოყენებით და აწვდით მათ სიახლეებს ფასდაკლებებისა და სხვადასხვა სიახლეების შესახებ.

კომპანიის ფეისბუქი: <https://www.facebook.com/Universami/>

კომპანიის საქმიანობა სრულად შესაბამისობაშია არამარტო შრომითი კოდექსით დადგენილი წესებთან, არამედ ქვეყანაში მოქმედ სხვა რეგულაციასთან.

### *ფინანსური მაჩვენებლები*

2022 წელს გაყიდვები წინა წელთან შედარებით 29 %-ით გაიზარდა. კომპანია მაქსიმალურად იცავს ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას, მათ შორის შრომის კანონმდებლობას. დაცულია დასაქმებულთა უფლებები და მათ შეუძლიათ ისარგებლონ ყველა იმ შედეგით და სარგებლით, რაც კანონმდებლობით ან/და კომპანიის შიდა პოლიტიკით არის დადგენილი. მათი შრომითი ხელშეკრულებები სრულად შესაბამისობაშია დასაქმებულის უფლებებთან. დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის სამართლებრივი დავა არ ყოფილა.

### *გამოწვევები*

იმის გამო, რომ ყოველწლიურად იხსნება ახალი სავაჭრო ცენტრები, შესაბამისად იზრდება კონკურენცია დარგში. ერთ-ერთი გამოწვევა ზოგადად ქვეყნის ეკონომიკაშია ეს არის ლარის კურსის მუდმივი გაუფასურება.

დოლართან მიმართებაში 2022 წლის თვის საშუალო კურსი იყო 2,7020

დოლართან მიმართებაში 2021 წლის თვის საშუალო კურსი იყო 3,2209

ლარის კურსი ასევე ზრდის საიჯარო ხარჯებს, რომელიც ერთ ერთი მნიშვნელოვანი ხარჯია კომპანიის ხარჯების სტრუქტურაში. საიჯარო კონტრაქტები ძირითადად დოლარშია დადებული.

ყველა ამ გამოწვევას კომპანია აქტიურად უმკლავდება და ყველაფერს აკეთებს იმისათვის რომ ბაზარზე საკუთარი ბრენდის პოპულარობა კიდევ უფრო გაიზარდოს, ხელმისაწვდომი იყოს მოსახლეობის ყველა ფენისთვის და ჰყავდეს რაც შეიძლება მეტი კმაყოფილი მომხმარებელი.

### *რისკების მართვა*

ისევე როგორც წინა წლებში, 2023 წელს კომპანიის მენეჯმენტი გეგმავს პროდუქციის ასორტიმენტის განახლებას და მომხმარებლებისათვის განახლებული პროდუქციის ბრენდების შეთავაზებას. კომპანია არ დგას ფინანსური სიძნელეების წინაშე, შესაბამისად არის კარგი გადამხდელი და ამის საფუძველზე მას აქვს უნარი, სხვადასხვა მომწოდებლებისგან შემდგომი გადახდის პირობებით შეიძინოს სარეალიზაციო საქონელი.

### *ბიზნეს გარემო*

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დარგში კონკურენცია მუდმივად იზრდება. ბაზარზე აქტიურად ჩნდებიან ახალი მარკეტები და სუპერმარკეტები. მიმდინარე პერიოდში, ყველა კომპანია ცდილობს ფასდაკლებების შეთავაზებით კლიენტები „გადაიბირონ“ - ხშირად იმართება ფასდაკლებები და აქციები.

### *კომპანიის მიერ ჩატარებული კვლევები*

2022 წლის განმავლობაში კომპანიას არ ჩატარებია კვლევები.

---

თემურ ქომეთიანი  
დირექტორი

---

ფინანსური დირექტორი  
ზაზა სარჯველაძე

### ფინანსური მაჩვენებლები

2022 წელს გაყიდვები წინა წელთან შედარებით 29 %-ით გაიზარდა. კომპანია მაქსიმალურად იცავს ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას, მათ შორის შრომის კანონმდებლობას. დაცულია დასაქმებულთა უფლებები და მათ შეუძლიათ ისარგებლონ ყველა იმ შეღავათით და სარგებლით, რაც კანონმდებლობით ან/და კომპანიის შიდა პოლიტიკით არის დადგენილი. მათი შრომითი ხელშეკრულებები სრულად შესაბამისობაშია დასაქმებულის უფლებებთან. დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის სამართლებრივი დავა არ ყოფილა.

### გამოწვევები

იმის გამო, რომ ყოველწლიურად იხსნება ახალი სავაჭრო ცენტრები, შესაბამისად იზრდება კონკურენცია დარგში. ერთ-ერთი გამოწვევა ზოგადად ქვეყნის ეკონომიკაშია ეს არის ლარის კურსის მუდმივი გაუფასურება.

დოლართან მიმართებაში 2022 წლის თვის საშუალო კურსი იყო 2,7020

დოლართან მიმართებაში 2021 წლის თვის საშუალო კურსი იყო 3,2209

ლარის კურსი ასევე ზრდის საიჯარო ხარჯებს, რომელიც ერთ ერთი მნიშვნელოვანი ხარჯია კომპანიის ხარჯების სტრუქტურაში. საიჯარო კონტრაქტები ძირითადად დოლარშია დადებული.

ყველა ამ გამოწვევას კომპანია აქტიურად უმკლავდება და ყველაფერს აკეთებს იმისათვის რომ ბაზარზე საკუთარი ბრენდის პოპულარობა კიდევ უფრო გაიზარდოს, ხელმისაწვდომი იყოს მოსახლეობის ყველა ფენისთვის და ჰყავდეს რაც შეიძლება მეტი კმაყოფილი მომხმარებელი.

### რისკების მართვა

ისევე როგორც წინა წლებში, 2023 წელს კომპანიის მენეჯმენტი გეგმავს პროდუქციის ასორტიმენტის განახლებას და მომხმარებლებისათვის განახლებული პროდუქციის ბრენდების შეთავაზებას. კომპანია არ დგას ფინანსური სიძნელეების წინაშე, შესაბამისად არის კარგი გადამხდელი და ამის საფუძველზე მას აქვს უნარი, სხვადასხვა მომწოდებლებისგან შემდგომი გადახდის პირობებით შეიძინოს სარეალიზაციო საქონელი.

### ბიზნეს გარემო

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დარგში კონკურენცია მუდმივად იზრდება. ბაზარზე აქტიურად ჩნდებიან ახალი მარკეტები და სუპერმარკეტები. მიმდინარე პერიოდში, ყველა კომპანია ცდილობს ფასდაკლებების შეთავაზებით კლიენტები „გადაიბირონ“ - ხშირად იმართება ფასდაკლებები და აქციები.

### კომპანიის მიერ ჩატარებული კვლევები

2022 წლის განმავლობაში კომპანიას არ ჩატარებია კვლევები.



თემურ ქომეთიანი  
დირექტორი



ფინანსური დირექტორი  
ზაზა სარჯველაძე



Info@inox.ge



34 I.Abashidze str.